# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№1 (80) 2018


## აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია კონსტიტუციით



*ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის პირველი წესდება*

*„ქართულ უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი – ქართული უნივერსიტეტი ტფილისში უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლებლო ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიაც და სუნივერსიტეტო მართვაგამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე გაგაგებს.*

*ქონებრივ სახსარს ქართ.უნივერსიტეტს „ქართ. უნივერსიტეტის“ საზოგადოება აძლევს.*

*ქართულ უნივერსტეტის პროფესორთა საბჭო და გამგეობა თვითვე ადგენს უნივერსიტეტის ყოველწლიურს წინასწარ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ქართ. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამა და წევრთა წლიურმა კრებამ მხოლოდ ქონებრივად შესაძლებლობის მხრივ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ამ დამტკიცებულ სავარაუდო ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვის და მიხედვით უნივერსიტეტის გამგეობას საგანგებო ინსტრუქციის და თანახმად ქართ. უნივერსიტეტის საზოგადოების სახარჯო თანხიდგან თვითვე გამოაქვს და უნივერსიტეტის ყველა ხარჯებს ისტუმრებს /იგ. ქართ. უნივ. დამხმარე სამოგადოების წილებიდან მე-20-ე და 22 მუხლი/“* – 1917 წელს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით მომზადებული ქართული უნივერსიტეტის წესდების პირველი მუხლები უნივერსიტეტისთვის პირველ რიგში ავტონომიურობის მიღწევას გულისხმობდა.

უნივერსიტეტის ამ პირველი წესდების შემუშავებიდან ზუსტად 100 წლის თავზე პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის უზრუნველსაყოფად ახალ ცვლილებას უყარა კენჭი; ავტონომიურობის ცნება საკონსტიტუციო ცვლილებაში თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის ინიციატივით შევიდა. 15 დეკემბერს ცვლილება პარლამენტმა მეორე მოსმენით 115 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, დაამტკიცა;

„აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია“. - კონსტიტუციის 27-ე მუხლში ეს ჩანაწერი სულ მალე უკვე მესამე მოსმენით დამტკიცდება, რაც საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიურ და ავტონომიურ თავისუფლებას ახალ, საკონსტიტუციო საფეხურზე აიყვანს.

**გაგრძელება მე-4 გვ.**

## ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“

***2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ახალი ინგლისურენოვნი სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა» ამოქმედდება. პროგრამა შემუშავებულია ნორვეგიის განათლების საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში.***

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის და ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის თანამშრომლობით შემუშავებული სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების პროცესში მოამზადოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების ახალი თაობა. პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე“, – აცხადებს პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო ჩიხლაძე.

სამაგისტრო პროგრამამ ექსპერტების (მათ შორის საერთაშორისო) დადებითი შე-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## თსუ სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ოფიციალური გახსნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ოფიციალურად გაიხსნა.

სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნივერსიტეტს 99 წლის იუბილეზე გადასცა.

ევროპული სტანდარტების 320-ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი კომპლექსი სამი ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსისგან შედგება. გათვალისწინებულია საზოგადოებრივი/ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა და სპორტული მოედანი.

„სტუდენტური საცხოვრებელი ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია სტუდენტების ხელშეწყობისთვის, ის გარემო და პირობები რომელიც სწორედ აქ არის შექმნილი უკლებლივ ყველა სტუდენტს აძლევს საშუალებას კონცენტრირებული და მობილიზირებული იყოს საკუთარ საქმეზე. მსგავსი ტიპის საცხოვრებელი სრულებით აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს თავისი კომფორტული გარემოთი, გარდა იმისა რომ ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ასევე სამზარეულოც და ადმინისტრაციის

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## თსუ რექტორი ევროპის აკადემიის წევრად აირჩიეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე ევროპის აკადემიის (Academia Europaea) წევრად აირჩიეს.

1988 წელს დაარსებული ევროპის აკადემია, მეცნიერთა ევროპული გაერთიანებაა, რომლის წევრებიც არიან სწავლის, განათლების და კვლევის კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეცნიერები და მკვლევრები.

ევროპის აკადემიის (Academia Europaea) წევრები საქართველოდან ასევე არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ კოკაია.

## ბიზნეს-იდეიდან – პროტოტიპების შექმნამდე თსუ სტუდენტების ბიზნეს პროექტების პრეზენტაცია ფაბლაბში

თსუ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში თსუ სტუდენტების ბიზნეს პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. ეს ბოლო ათწლეულის მანძილზე პირველი პრეცენდენტია, როცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა ბიზნეს პროექტები სასწავლო კურსის ფარგლებში და ადგილზე, პრაქტიკულად შეასრულეს და რეალური პროდუქტების სახით წარმოადგინეს.

2017 წლის სექტემბრიდან თსუ სამრეწვე-

**გვ. 2**

## თსუ – ლიდერი სამეცნიერო გრანტების მოპოვების მაჩვენებლებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს კვლევით ცენტრებს შორის კვლავ ლიდერობს. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებით ყველაზე მეტი გრანტი თსუ-მ მოიპოვა. წარმატებული აღმოჩნდნენ თსუ მაგისტრანტებიც და სხვა კონკურსების მონაწილეებიც.

**გვ. 3**

## თსუ ონლაინ-მაღაზია WWW.TSUSTORE.GE

საქართველოში პირველი საუნივერსიტეტო ონლაინ მაღაზია (www.tsustore.ge) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. პროექტი თსუ-სა და თიბისი ბანკის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ონლაინ მაღაზიაში წარმოდგენილია სამოსი და აქსესუარები თსუ ბრენდირებით. თსუ-ის ბრენდირებული პროდუქციის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

„100 წლის მანძილზე ჩვენი უნივერსიტეტი 300-ათასზე მეტმა ადამიანმა დაამთავრა. ბრენდირებული პროდუქციის შეძენის მსურველი ძალიან ბევრია – სტუდენტები, თანამშრომლები, კურსდამთავრებულები, უბრალოდ გულშემატკივრები. მეორე ეტაპზე ვაპირებთ წიგნების ონლაინ გავრცელებას. ეს ყველა უნივერსიტეტელთან კავშირის ერთგვარი საშუალებაა. მადლობა თიბისი ბანკს ამ პროექტის მხარდაჭერისთვის,“- აღნიშნა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„ონლაინ მაღაზიის პროექტი თსუ-სთან შარშან გაფორმებული სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხ-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

# თსუ ონლაინ-მაღაზია

*პირველი გვერდიდან*

ორციელდა და ეს ჩვენთვის დიდი პატივია“, – განაცხადა თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნიკა ქურდიანმა. მისი თქმით, „მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ ბრენდირებული ტანსაცმლის ტარება. მსოფლიოში ეს მიღებული პრაქტიკაა. საქართველოში პირველად კი თსუ-ში განხორციელდა. ბანკი კიდევ ბევრი ერთობლივი პროექტის ინიცირებას და მხარდაჭერას გეგმავს“.

„ონლაინ მაღაზიის იდეა არის მისასალმებელი. საქართველოში პირველები ვართ და ეს ფაქტი ძალიან სასიამოვნოა. ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, კარგი საშუალებაა მეცვას მაისური თუ სხვა სახის სამოსი ჩემი უნივერსიტეტის ლოგოთი. ძალიან კრეატიული იდეაა და აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის იუბილეს დაემთხვა ონლაინ მაღაზიის გახსნა. ვფიქრობ, რომ ონლაინ მაღაზია ცოტა ხანში მოიპოვებს პოპულარობას, ველოდებით მის განვითარებასაც, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე სახის პროდუქციაა წარმოდგენილი. იმედი მაქვს, მისი შემქმნელები ბევრ სიახლეს შემოგვთავაზებენ“, – აღნიშნა თსუ სტუდენტმა სალომე თოფურიამ.

www.tsustore.ge-ზე წარმოდგენილი კოლექციები მუდმივად განახლდება და საზოგადოებას მრავალფეროვან არჩევანს შესთავაზებს მათი ინტერესების გათვალისწინებით. თსუ სტუდენტები და თანამშრომლები ისარგებლებენ უფასოდ მიგანის მომსახურებით.

# ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საგოგადოებრივი ჯანდაცვა“

*პირველი გვერდიდან*

ფასება დაიმსახურა აკრედიტაციის ყველა სტანდარტის მიხედვით.

სტუდენტებს ლექციებს ჩაუტარებენ როგორც თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ისე ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორები, ექსპერტები დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა ხანმოკლე და ხანგრძლივი მობილობა ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში, ნორვეგიაში.

„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს ახალი პროგრამა შემუშავდა, ის გახლავთ, რომ გვსურდა ნორვეგიასა და საქართველოს შორის სტუდენტების გაცვლა მომხდარიყო. ამის განსახორციელებლად კი საჭირო იყო საქართველოში მოქმედი ინგლისურენოვანი პროგრამა. ჩვენი გამოცდილებით ამ პროგრამის კურსდამთავრებულებზე ნორვეგიაში მოთხოვნა ძალზე მაღალია. სადღაც მათი 90 პროცენტი დასაქმებულია, მაგრამ ეს სტატისტიკა, ამავე დროს, ნორვეგიაში უმუშევრობის დონის საერთო ეროვნულ დაბალ მაჩვენებელს ასახავს. სამომავლოდ ჩვენ განვაგრძობთ სტუდენტების გაცვლას, ახალი კურსების შემუშავებაზე მუშაობას და თანამშრომლობას სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით“,-განაცხადა პროგრამის ამოქმედებამდე სამუშაო ვიზიტით 2017 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულმა არქტიკული/ტრომსოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პროექტის კოორდინატორმა ერიკ ანდამ.

„საერთაშორისო, გლობალური ჯანმრთელობა, ის საკითხებია, რომლებიც უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა დარგში გლობალიზაციის გამო. საქართველო, როგორც თანამედროვე ქვეყანა, მსოფლიოს ნაწილია და ასევე საჭიროებს ცოდნას საერთაშორისო ჯანდაცვის, გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია გქონდეს მსგავსი საბაზისო ცოდნის მიწოდების საშუალება ახალგაზრდა თაობისათვის მაგისტრატურის დონეზე საქართველოში. თსუ წამყვანი უნივერსიტეტია და ბუნებრივია, რომ აქ უნდა არსებობდეს სტუდენტებისთვის მსგავსი სამაგისტრო პროგრამის გაელის საშუალება.

როდესაც ამ სამაგისტრო პროგრამას ვაფასებდი ვცდილობდი იგი სხვა საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისთვის შემედარებინა. ვფიქრობ, მისი შემუშავებისას სწორი დონე და მეთოდებია შერჩეული. მისი მოდელი და შინაარსი ძალიან მსგავსია ევროპასა და აშშ-ში არსებული ამ ტიპის პროგრამებისა. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს არის ამ პროგრამის ფარგლებში მოდულების გაცვლის შესაძლებლობა. საქართველოსა და ნორვეგიაში სტუდენტების ჯგუფებმა შეიძლება ერთი მოდული აიღონ, ერთი საქართველოში და მეორე ნორვეგიაში და ამგვარად შეიმუშავონ, შექმნან თავისი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ გამოცდილებას დაეფუძნება“, – ასე შეაფასა სამაგისტრო პროგრამა ტორალფ ჰასვოლდმა, რომელიც ახალი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური მრჩეველია ტრომსოს უნივერსიტეტიდან.

# ჰარვარდის სამართლის სკოლისა და თსუ იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სასერტიფიკატო პროგრამა საავტორო სამართალში

CopyrightX არის 12 კვირიანი კურსი, რომელიც 2013 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ჰარვარდის სამართლის სკოლის, ჰარვარდ X დისტანციური სწავლებისა და ბერკმან კლაინის ინტერნეტისა და საზოგადოების ცენტრის ხელშეწყობით. კურსის შემქმნელი და ხელმძღვანელია ჰარვარდის სამართლის სკოლის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პროფესორი ვილიამ ფიშერი. მან შეიმუშავა კურსი, მისი სწავლების სპეციფიკა, მოამზადა დისტანციური ლექციები, შეარჩია და შექმნა საკითხავი მასალა.

საქართველოში პირველად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს ერთობლივ კურსს ჰარვარდის სამართლის სკოლასთან.

კურსი განკუთვნილია საავტორო სამართლით დაინტერესებული პირებისათვის და მოიცავს ევროპისა და ამერიკის საავტორო სამართალს. ქართველი სტუდენტებისათვის კურსი დამატებით მოიცავს საქართველოს საავტორო სამართლის მნიშვნელოვან საკითხებს. კურსის განმავლობაში განხილული იქნება საავტორო სამართლის მოწესრიგება ამერიკული სამართლის მიხედვით.

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება საავტორო სამართლის ძირითადი პრინციპები, ასევე ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს ყველაზე მნიშვნელოვან და პრეცედენტულ დავებს.

სტუდენტებს ექნებათ წვდომა ვიდეო ლექციებსა და საკითხავ მასალაზე, რომელთა განხილვაც მოხდება ყოველკვირეულად გამართულ სამუშაო ჯგუფებში. სალექციო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ჩაუტარდებათ წერითი გამოცდა, რომლის მხოლოდ წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მათ გადაეცემათ ჰარვარდის უნივერსიტეტის სერტიფიკატი.

საჭირო ინფორმაცია:

- კურსი არის უფასო;
- აუცილებელია, რომ აპლიკანტი იყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;
- აუცილებელია ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა;
- სამუშაო ჯგუფების საათები განსაზღვრულია სააპლიკაციო ფორმაში, რომლის არჩევაც სავალდებულოა აპლიკაციის გამოგზავნის დროისათვის;
- ყოველკვირეული სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის, ორზე მეტი გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება საბოლოო გამოცდაზე, რაც ნიშნავს, რომ ის ვერ მიიღებს სერტიფიკატს ჰარვარდის სამართლის სკოლისაგან;
- კურსზე რეგისტრაციისთვის აუცილებელია, აპლიკაციის შევსება. იხილეთ აპლიკაციის ფორმა;
- სტუდენტების შერჩევა მოხდება აპლიკაციის მიხედვით, დამატებით შესაძლებელია დაინიშნოს სტუდენტთან გასაუბრება.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://copyx.tsu.ge/3

# იაპონიის მთავრობის სტიპენდია თსუ სტუდენტს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის, ფუნდამენტური ფიზიკის მიმართულების სტუდენტი გიორგი ქუმსიაშვილი სულ მალე სწავლას იაპონიაში გააგრძელებს. საამისოდ, გიორგიმ საერთაშორისო სტუდენტებისათვის იაპონიის მთავრობის მიერ გათვალისწინებული სტიპენდია მოიპოვა. აპრილიდან, ორი წლის განმავლობაში, იგი ოსაკას უნივერსიტეტში მაგისტრატურაში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკას პროფესორ იოშიტაკა კუნოს ხელმძღვანელობით შეისწავლის.

იაპონიის მთავრობის მიერ გამოცხადებული დაფინანსების შესახებ გიორგიმ თბილისის იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის დამფუძნებელისა და ამავე დროს თავის მასწავლებელ ნინო ჭანტურიასგან შეიგყო. რადგან იაპონიაში სწავლის გაგრძელების სურვილი ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატში სწავლის დროს გაუჩნდა, კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა. მის ამ სურვილს მხარი იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის და თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის ლექტორებმაც დაუჭირეს.

„გრძელი ვადით საზღვარგარეთ სასწავლებლად არ ვყოფილვარ. მსგავს მაღალბიუჯეტიან კონკურსში, რომელიც სრულად აფინანსებს მაგისტრატურის სწავლების და იაპონიაში ცხოვრების ხარჯებს, ნამდვილად არ გამიმარჯვია. თსუ-ში მიღებული ცოდნა მნიშვნელოვნად დამეხმარა ოსაკას უნივერსიტეტის შიდა ზეპირ და წერით გამოცდებში. განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ ძირითადი საგნების უმეტესობაში გვაქვს წვდომა და ვიყენებთ არა მარტო ქართულ, არამედ ინგლისურ მასალებსაც. გარდა ამისა, იმ ლექტორებთან კონსულტაციით, რომლებიც წარსულში მუშაობდნენ იაპონიაში, ზოგადი წარმოდგენა შემექმნა იმაზე, თუ როგორია იაპონიაში ცხოვრება, სწავლა და მუშაობა სამეცნიერო სფეროში. იაპონიაში მაგისტრატურის კურსის დამთავრების შემდეგ, თუ მსგავს კონკურსში ისევ გავიმარჯვებ, ვაპირებ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე გავაგრძელო“, – ამბობს გიორგი. მისი თქმით, ამ კონკრეტული კონკურსის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ინგლისური ენის კარგი და იაპონური ენის საბაზისო ცოდნა იყო საჭირო. შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო ასევე კარგი აკადემიური მოსწრება. თუმცა, მისი აზრით, მთავარი მაინც იმის კარგად გათვითცნობიერება იყო, თუ რის, სად, რისთვის სწავლას აპირებს სტუდენტი, რა კონკრეტული მიზნები ამოძრავებს მას.

ცნობისათვის, ფიზიკა და იაპონური ენის გარდა, გიორგის კიდევ ბევრი გატაცება აქვს, რომელსაც წარმატებით უთავსებს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლას. მათ შორის ისეთიც, რომელმაც იაპონისათანაც დააკავშირა. ერთ-ერთი კენდოა (იაპონური ფარიკაობის სახეობა), სპორტი რომელზეც დღემდე დადის. კენდო სულ რაღაც ერთი წლის წინ აღმოაჩინა ლისის ტბასთან არსებულ ამერიკულ აკადემიაში. სპორტის ამ სახეობის ძირეულად შესწავლის სურვილი გიორგის იაპონიით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. გარდა ამისა, გიორგის ქართული ხალხური სიმღერაც იტაცებს და ბავშვობიდან დღემდე ანსამბლ „მართვეში“ დადის. აინტერესებს კომპიუტერული პროგრამირება, განსაკუთრებით GNU/Linux სისტემა და როგორც ალბათ ახალგაზრდების უმეტესობას, კომპიუტერული თამაშები. დადის იოგას გაკვეთილებზე. როგორ ახერხებს ამ ყველაფრის შეთავსებას? „ჩემი აზრით მთავარია დაინტერესებული და მონდომებული იყო, დროს კი აუცილებლად გამონახავ“, – ასე პასუხობს იგი ჩვენს კითხვას.

# ესმა გუმბერიძე: „ვერავითარი წინსვლა ვერ მოხდება, თუკი ადამიანი არ გამოვა თავისი კომფორტის ზონიდან, არ გარისკავს, არ გაბედავს“...

ესმა გუმბერიძე თსუ სამართლის ფაკულტეტის უსინათლო სტუდენტია. სამართლის მიმართულებით სწავლის გაგრძელებისკენ ბავშვობის დროინდელმა გამოცდილებამ უბიძგა. ესმას თქმით, სკოლის გარეთ, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისას მისი, როგორც შშმ პირის საჭიროებები ხშირად არ მიიღებოდა მხედველობაში. ესმა თსუ 100 წლის საიუბილეო ღონისძიებებზე აქტიურად იქნება ჩართული, მისთვის საზღვარგარეთიდან მოწვეულ სტუმრებთან თსუ სტუდენტების სახელით შეხვედრა, მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მოვალეობაა.

„თსუ-ში ჩემი სწავლა უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს დაემთხვა. 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაზე ერთ–ერთი სტუდენტი გამომსვლელი ვიქნები საზღვარგარეთიდან მოწვეულ სტუმრებთან, პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორებთან, სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიური დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და თსუ წარმატებულ კურსდამთავრებულებთან ერთად. როგორც სტუდენტისთვის, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. მსგავსი ღონისძიებები ხომ, არც თუ ისე ხშირად იმართება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით სამხრეთ კავკასიაში პირველ ადგილზეა. შესაბამისად, მისდამი არსებობს ინკლუზიურობის მოლოდინიც, მოლოდინი, რომ თუნდაც შშმ სტუდენტებს ჰქონდეთ მასში სწავლის, განვითარებისა და თვითრეალიზების საშუალება. გერმანიასა და რუმინეთში ყოფნისასაც კი არ შემინიშნავს ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი იქაურ უნივერსიტეტებში, მით უმეტეს, თუნდაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ჩასული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გაცვლითი, უცხოელი სტუდენტები. შესაბამისად ის, რომ ქართული უნივერსიტეტიდან მოხერხდა შშმ სტუდენტის გაგზავნა გაცვლით პროგრამაზე, საკმაოდ აღსანიშნავი ფაქტია.

ესმამ თავდაპირველად თავისუფალ უნივერსიტეტში ჩააბარა, თუმცა შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლა გადაწყვიტა. მიზეზად თსუ უცხოენოვანი გაცვლითი პროგრამების ფართო არჩევანი დასახელა.

*გაგრძ. მე-3 გვ.*

# ესმა გუმბერიძე: „ვერავითარი წინსვლა ვერ მოხდება, თუკი ადამიანი არ გამოვა თავისი კომფორტის ზონიდან, არ გარისკავს, არ გაბედავს“...

„თავდაპირველად თავისუფალ უნივერსიტეტში ჩავაბარე. როგორც სახელმწიფო, ისე შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებაც მქონდა. თუმცა, პირველი კურსის შემდეგ თსუ-ში მობილობით გადავწყვიტე გადმოსვლა. პირველ რიგში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული „ერაზმუს+“ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. თსუ-ში გადმოსვლის შემდეგ მივიღე კიდეც მონაწილეობა „ერაზმუს+“ პროგრამაში და 2016 წელს გერმანიაში, ფრანკფურტში, ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში, ხოლო 2017 წელს რუმინეთში, ქალაქ იაშის უნივერსიტეტში გავატარე თითო სასწავლო სემესტრი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას საშუალება მქონდა, ჩავრთულიყავი უნივერსიტეტის ბაბაზე შექმნილ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მიერ გამართულ ღონისძიებებში (მაგ. ევროპის სამართლის სტუდენტთა ასოციაციის/ელსა დებატების კონკურსი, ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის მოდელირებები, კონფერენციები ქალთა უფლებებზე და ესეების კონკურსი, ორგანიზაცია სტეპის მომავალ სპიკერთა/პრეზენტატორთა სკოლა და მისთ). უნივერსიტეტის მოსახერხებელი ადგილმდებარეობის გამო შემეძლო უნივერსიტეტს გარეთ მიმდინარე ტრენინგებში, კონფერენციებში, სტაჟირებებსა თუ სამოხალისეო საქმიანობაში ჩართვა“, - ამბობს ესმა.

მიუხედავად იმისა, რომ თსუ იურიდიულ ფაკულტეტს არ ჰქონია უსინათლო სტუდენტის ყოლის გამოცდილება, ესმას სწავლასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია.

„უნივერსიტეტში გადმოსვლისას ჩემი უსინათლობის გამო გამომიყვეს მოხალისეები, რომლებმაც მაჩვენეს ჩემთვის საჭირო აუდიტორიები, თეთრი ხელჯოხის გამოყენებით მოგვიანებით დამოუკიდებლად რომ შემძლებოდა გადაადგილება. გამოცდებს კომპიუტერის მეშვეობით, გამხმოვანებელი პროგრამის ხელშეწყობით ვაბარებდი. მკარნახობდნენ კითხვებს, რომლებსაც დიქტოფონზე ჩავიწერდი, პასუხებს კი უკვე კომპიუტერში ვკრეფდი, გამხმოვანებელი პროგრამა კი მიკითხავდა, რა მოქმედებასაც კომპიუტერში ვახორციელებდი. ვინაიდან უნივერსიტეტში არ არის აუდიო ლიტერატურა, ანუ მოსასმენ ფორმატში, (ან თუნდაც ვორდის) იურიდიულმა ფაკულტეტმა დაავალა ბიბლიოთეკის სტუდენტ თანამშრომლებს, ჩემთვის წასაკითხი მასალა წაეკითხათ. ეს მათი სამუშაო საათების ნაწილი გახდა. ლექციებსემინარებისგან თავისუფალ დროს ყოველდღე მივდიოდი ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ცხრილით დადგენილ დროს და იქ მიკითხავდნენ. ზოგიერთ მასალას დიქტოფონით ვიწერდი, შემდეგ გამოცდების წინ გადასამეორებლად. ამ წაკითხვების დროს ბევრი სტუდენტი გავიცანი. ვსაუბრობდით კიდეც, განვიხილავდით წაკითხულს, ვმსჯელობდით. დროს საინტერესოდ ვატარებდით. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია.

ათეულობით წლის წინ, როგორც მსმენია, იურიდიულ ფაკულტეტზეც უსწავლია უსინათლოს, თუმცა მისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის საშუალებების შესახებ აღარავითარი ინსტიტუციური მეხსიერება აღარ იყო შემორჩენილი. ეს ბუნებრივიცაა იმ პირობებში, როცა არც უნივერსიტეტში, არც – განათლების სამინისტროში არ არის რაიმე დეპარტამენტი ან 1 თანამშრომელი მაინც, რომელიც შშმ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე იმუშავებდა და რომელთანაც დაგროვდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის პრაქტიკები და გამოცდილებები, რომლებსაც შემდეგ გადასცემდა სხვადასხვა ფაკულტეტებს, სხვადასხვა თაობის ადმინისტრაციებს.

მე, გამოცდილების არმქონე ადამიანს, მიწევდა ადმინისტრაციის კონსულტირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა საჭიროებები მაქვს და რა ღონისძიებები სასურველია, გატარდეს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ვერავითარი წინსვლა ვერ მოხდება ვერც კონკრეტული ადამიანის და ვერც საზოგადოების ცხოვრებაში, თუკი ადამიანი არ გამოვა თავისი კომფორტის ზონიდან, არ გარისკავს, არ გაბედავს, არ გაიჭირვებს და რაღაც ახალს არ მოიფიქრებს, არ შექმნის, არ მოითხოვს და არ გააკეთებს.

ამჟამად, ვმუშაობ შშმ პირთა უფლებადამცველ ორგანიზაციაში. რამდენიმე სხვა შშმ ქალთან ერთად დავაფუძნეთ საინიციატივო ჯგუფი, პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის, რომელიც შშმ ქალთა უფლებების მიმართულებით იმუშავებს კვლევებსა და ადვოკატირებაზე, უფლებათა პოპულარიზაციაზე, შშმ ქალთა საჭიროებების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დღის წესრიგში შემოგანაზე. შშმ ქალები ხშირად ხდებიან ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის, ისე სქესის გამო. ამასთანავე, ვარ სახალხო დამცველთან არსებული გაეროს 2006 წლის შშმ პირთა ადამიანის უფლებათა კონვენციის შესრულების მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს წევრი საზოგადოებრივ საწყისებზე. და ბოლოს, მიმყავს გადაცემა ჰორიზონტს მიღმა ონლაინ-რადიო „ჩემს ხმაში“. ხანდახან ვაქვეყნებ ბლოგებსა და სტატიებს განათლების, ქალთა და შშმ პირთა უფლებების მიმართულებით. მინდა, ის ინფორმაციული ვაკუუმი შეივსოს, რომელიც ჩემს ბავშვობაში არსებობდა შშმ პირთა თემში საზოგადოებაში არსებულ შესაძლებლობათა, გამოწვევათა და მათი დაძლევის გზების შესახებ. სამომავლოდ, ჩემი ბავშვობის დროინდელი ინტერესის სფეროს, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში.

# თსუ – ლიდერი სამეცნიერო გრანტების მაჩვენებლებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს კვლევით ცენტრებს შორის კვლავ ლიდერობს. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებით ყველაზე მეტი გრანტი თსუ-მ მოიპოვა. წარმატებული აღმოჩნდნენ თსუ მაგისტრანტებიც და სხვა კონკურსების მონაწილეებიც.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გამარჯვებული 86 პროექტიდან თსუ-ს 39 პროექტი (45%) ეკუთვნის, მათგან 3 საპროექტო განაცხადში თსუ თანამონაწილე ორგანიზაციის სახელითაა. ერთობლივ გამარჯვებულ პროექტებში თსუ მეცნიერები თანამშრომლობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მკვლევრებთან.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანია ხელი შეუწყოს ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო კვლევების, ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზი, შემდგომ განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.

ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იყო შემდეგ დარგებში: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები. გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდა, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. პროექტები დასრულდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

გამარჯვებულ ახალგაზრდა მკვლევრებს დაენიშნებათ სტიპენდია (1200 ლარამდე), დაუფინანსდებათ სამაგისტრო კვლევისთვის საჭირო ხარჯები, მათ შორის: ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენის და მომსახურების ხარჯები; საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯები; პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯები; სამეცნიერო ღონისძიებასა (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები; პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯები; კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი.

სხვა კონკურსების შედეგები ასეთია:

რუსთაველი – 61%;

დოქტორანტების საგანმანათლებო პროგრამების გრანტი - 35%;

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი -26%;

„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“

ოქსფორდის უნივერსიტეტი - 50%;

CNR (ფონდი/იტალია) - 75%;

რუსთაველის ფონდი/Volkswagen-stiftung – 50%

# ბიზნეს-იდეიდან – პროტოტიპების შექმნამდე

## თსუ სტუდენტების ბიზნესპროექტების პრეზენტაცია ფაბლაბში

*პირველი გვერდიდან*



ლო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში ჩაერთო და დაიწყო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც აირჩიეს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მენეჯმენტი“.

აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები მუშაობდნენ ბიზნეს პროექტების პრაქტიკულ შესრულებაზე. სტუდენტებმა, ფაბლაბში ჩატარებული ლაბორატორიული მეცადინეობების დახმარებით, ბიზნეს პროექტის მთელი ციკლი – ბიზნეს იდეიდან პროტოტიპის შექმნამდე – განახორციელეს. წარმოდგენილი იყო 15-მდე პროექტი, რომელზეც მუშაობდა 150-მდე სტუდენტი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე და ის პროფესორები, რომლებიც ასწავლიდნენ სასწავლო კურსს „პრაქტიკულ მენეჯმენტს“. სტუდენტების აქტიურობამ და შესრულებულმა პროექტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, თითოეულ მათგანს ნებისმიერ დროს შეეძლება ფაბლაბის მომსახურებით სარგებლობა, რაც გულისხმობს ტექნიკური დახმარებას გაწევას და სასურველი ტექნოლოგიების გამოყენების უფლებას.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორი თსუ-ში 2015 წლიდან ფუნქციონირებს. იგი შეიქმნა თბილისის მერიის დახმარებით და თსუ-ს საკუთრებაში 2017 წელს გადმოეცა. ფაბლაბი აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით, როგორიცაა: 3D პრინტერები – uPrint 3D და Dual Extruder, Epilog Fusion – ლაზერული დანადგარი, UV Printer – ულტრაიისფერი სხივით საბეჭდი, CNC დანადგარი, 3D სკანერი. მისი ძირითადი დანიშნულებაა მოახდინოს ინოვაციური იდეების გენერირება, ინოვაციური პროდუქტების შექმნა და სტარტაპების მხარდაჭერა. ფაბლაბის დახმარებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ ჩამოაყალიბონ და რეალობად აქციონ საკუთარი ბიზნეს იდეები.

ოთო მამუკაშვილი და გიორგი ტატუნაშვილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები არიან, ისინი გვიყვებიან საკუთარი პროექტებისა და ფაბლაბში მიღებული გამოცდილების შესახებ, მათი თქმით, უნივერსიტეტში ძალიან მალე TSU FAB-Lab Club ჩამოყალიბდება. მასში გაწევრიანება ნებისმიერ თსუ სტუდენტსა და პროფესორს შეეძლება. კლუბში სტუდენტები და პროფესორები საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს და სხვადასხვა პროექტზე ერთობლივად დაიწყებენ მუშაობას. დღეს კი პროექტების ავტორები საკუთარ ისტორიას „უნივერსიტეტის“ მკითხველს უყვებიან.

***გიორგი ტატუნაშვილი:***

FabLab-ში განხორციელებულ პროექტზე მუშაობა მიზნად ისახავდა 12 სტუდენტისაგან შემდგარი საპროექტო გუნდის ფორმირებას. ამ ფორმატით მოხდა ჩვენი გუნდის პროექტის შემუშავებაც, რომელიც ეხებოდა ხის საყურეების დამზადებას ყუთთან (ბარდახშასთან) ერთად. პროექტის განხორციელების პროცესის დროს საპროექტო გუნდმა გამოიყენა შესაბამისი სპეციალიზებული ხელსაწყოები, კონკრეტულად: ლაზერული მოწყობილობა ხეზე ჭრისთვის და Mimaki მასალაზე საღებავის დასატანად.

გუნდის წევრებისთვის და პირადად ჩემთვის, კონკრეტული პროექტის განხორციელება იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, რადგან მოგეხსენებათ, პროექტის მომზადების მსგავსი ფორმატი სიახლეს წარმოადგენს მთლიანად უნივერსიტეტისთვის და ამ დრომდე ასეთი ღონისძიების განხორციელება შეუძლებელი იყო. პროექტის მიმზიდველობას ასევე განაპირობებდა იდეების გენერირება, ამ იდეების პრაქტიკული ხასიათი, განხორციელებაში უშუალო ჩართულობა, ოპერაციული საქმიანობა და სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის შექმნა.„

უშუალოდ ჩვენი გუნდის მიერ შექმნილი პროექტი სხვადასხვა მახასიათებლით გამოირჩეოდა, რამაც საბოლოოდ, პროფესორებისა და სტუდენტების დადებითი შეფასება გამოიწვია. პროექტის მომზადების კონკრეტული ფორმატის დახვეწისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, თითოეულ მონაწილე ჯგუფს გამოეყო ფაბლაბში დანადგარებთან უფასოდ მუშაობა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პროფესორებისა და დამსწრე აუდიტორიის კეთილგანწყობაზე. მოცემულ დროში სტუდენტებს შეუძლიათ მოახდინონ ნებისმიერი იდეის რეალიზება კონკრეტული დანადგარების ფარგლებში. ეს კი გამოიწვევს მათი მოტივაციის ამაღლებას და სამომავლოდ, წარსადგენი პროექტებიც უფრო დაიხვეწება, ამ ეტაპზე კი უკვე დაწყებულია აქტიური სამუშაოები ფორმატის ფორმალიზებისთვის.

***ოთო მამუკაშვილი:***

ჩვენ სტუდენტებს შემოდგომის სემესტრში მოგვეცა საშუალება აქტიურად გვემუშავა ლაბორატორიაში. უნივერსიტეტში დაინერგა ერთ-ერთი საგანი „პრაქტიკული მენეჯმენტი" რომელიც სხვა საგნებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ ჩვენ ჩვენი ცოდნა და კრეატიული აზროვნების უნარი უნდა გამოგვეყენებინა პრაქტიკაში. აღნიშნული კურსის ფარგლებში ჩვენ საადუიტორო მეცადინეობების პარალელურად ვმუშაობდით ლაბორატორიაში და ვცდილობდით ჩვენი ბიზნეს იდეები განგვეხორციელებინა პრაქტიკულად, ანუ შეგვექმნა მაკეტი და შემდგომ ლექტორებისა და სხვა დამსწრე საზოგადოებისთვის მოგვეხსენებინა თუ როგორ ვაპირებდით მის კომერციალიზაციას.

მე როგორც ერთ-ერთი პროექტის მონაწილე აღნიშნული ლაბორატორიის ფუნქციონირებას ჩვენს უნივერსიტეტში ვაფასებ დადებითად და უფრო მეტიც, ჩემი აზრით, ის უდიდესი მნიშვნელობისაა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყოველი სტუდენტისთვის, რადგან ფაბლაბი ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღნიშნული (ბიზნეს-ადმინისტრირების) კურსის განმავლობაში შესწავლილი სალექციო მასალა (რომელიც ხშირ შემთხვევაში საერთოდ არაა კავშირში ქართულ რეალობასთან, და ჩემთვის როგორც სტუდენტისთვის ნაკლებად გამოსაყენებელია სამომავლო პერსპექტივაში) გამოვიყენოთ პრაქტიკულად.

ასევე გვეძლევა საშუალება გავხდეთ სტარტაპერები, ვაკეთოთ ჩვენთვის საინტერესო საქმე და მოვახდინოთ ამ ყველაფრის კომერციალიზაცია. ლაბორატორიის სტარტაპერებმა ფეისბუქ გვერდიც https://www.facebook.com/TSUFabLab/ შევქმენით, რათა უფრო ბევრმა ადამიანმა გაიგოს ჩვენი ლაბორატორიის შესახებ.

# აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია კონსტიტუციით

*პირველი გვერდიდან*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგა ბედანია, ამ ფაქტის მნიშვნელობას განსაკუთრებით საბჭოთა წარსულის ფონზე უსვამს ხაზს:

„აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტების ავტონომიის საკონსტიტუციო გარანტია უაღრესად მნიშნელოვანია ისეთი წარსულის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა – აქ უმაღლესი განათლების სექტორი თავისი არსებობის ძირითადი პერიოდის განმავლობაში პირდაპირ იყო დაქვემდებარებული პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ კონტროლს. ეს საკონსტიტუციო ჩანაწერი უნივერსიტეტებსა და პროფესორ-მეცნიერებს მისცემს სამართლებრივ სივრცეს, რომლის შიგნითაც მათ შეეძლებათ ცოდნის თავისუფლად წარმოება, გადაცემა და გამოყენება“, – ამბობს იგი.

უნივერსიტეტის დაცულობა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-ფინანსური ზეგავლენისაგან მნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის არჩილ ფრანგიშვილისთვის:

„ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2006 წლის რეკომენდაცია უშუალოდ ეხება აკადემიურ თავისუფლებასა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას, რომლის შესაბამისად აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტებია. პროფესორს უნდა შეეძლოს არსებული ცოდნის კრიტიკა, ახალი იდეების გენერირება, სამეცნიერო კვლევების თავისუფლად განხორციელება, მოსაზრების შეუზღუდავად გამოხატვა. აღნიშნული თავისთავად ბრდის სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევათა ხარისხს და ამასთან, ხელს უწყობს განათლების ინტერნაციონალიზაციას.

აკადემიური თავისუფლება იცავს არა მხოლოდ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, არამედ სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტსაც, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვა და სხვა ტიპის მეცნიერულ დისკურსში, სწავლების პროცესში იდეებისა და პოზიციების დაფიქსირებაში.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიურობას, აღნიშნული უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ მიდგომას, თავად განსაზღვროს განვითარების პრიორიტეტები, კერძოდ დასახოს განვითარების სტრატეგია და განახორციელოს კანონმდებლობასთან შესაბამისი დამოუკიდებელი ფინანსური პოლიტიკა.

ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის დაცული უნდა იყოს სახელმწიფოებრივ- პოლიტიკური და ეკონომიკურ-ფინანსური ზეგავლენისაგან. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სრული ფინანსური ავტონომია, თუნდაც სახელმწიფო დაფინანსების პირობებში, რაც გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს თავისი ბიუჯეტის გონივრული, თავისუფალი და სამართლიანი განკარგვა ასევე შიდა მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, სრული აკადემიური თავისუფლების განხორციელებისათვის“, – აღნიშნავს არჩილ ფრანგიშვილი.

ფაქტის მნიშვნელობას ხაზს უსვამენ სამედიცინო უნივერსიტეტშიც; ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში კი ამბობს, რომ „მსგავსი საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება ზოგადად მნიშვნელოვანია აკადემიური სივრცისთვის. კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი გამოხატავს და იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიესალმება და მხარ უჭერს ამ ნამდვილად საჭირო და აუცილებელი ინიციატივის განხორციელებას“.

კონსტიტუციური ნორმა სულ მალე ამოქმედდება. 2018 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად, საკუთარ 100 წლის იუბილეს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის გაძლიერებული გარანტიებით ხვდება.

# ტრადიცია, რომელიც 60 წელს ითვლის

ყოველწლიურად, თსუ-ს I კორპუსში უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავად თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის 1957 წლის კურსდამთავრებულები იკრიბებიან. ტრადიციას, რომელიც უკვე 60 წელს ითვლის, საფუძველი 1967 წელს ჩაეყარა. 1952 წელს მათ, როგორც თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პირველკურსელებს სტუდენტის ბილეთი გადასცა თსუ რექტორმა და აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა.

„1957 წლის კურსდამთავრებულები სისტემატურად აღვნიშნავთ უნივერსიტეტის დამთავრების თარიღებს. პირველად პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აღვნიშნეთ 10 წლისთავი და მივიღეთ გადაწყვეტილება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ შეკრების შესახებ, ხოლო როდესაც უნივერსიტეტის დამთავრებიდან 40 წელი შესრულდა, გადავწყვიტეთ შეხვედრები მოგვეწყო ყოველწლიურად. განსაკუთრებით აღინიშნა ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა, ხოლო შარშანდელი 60 წლის თავი მივუძღვენით უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს, სადაც ჩვენმა თანაკურსელმა და პოფესორმა გიორგი მალაშხიამ ლექსი მიუძღვნა მშობლიურ უნივერსიტეტს“, – ამბობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შუბლაძე.

# „თსუ-ჰიუნდაის“ მორიგი გამარჯვება საკალათბურთო ა-ლიგის მეორე ტურში

„თსუ-ჰიუნდაის“ მორიგი გამარჯვება საკალათბურთო ა-ლიგის მეორე ტურში – უნივერსიტეტის გუნდმა „არენა“ 16 ქულიანი უპირატესობით დაამარცხა.

თამაშის მიმდინარეობისას „არენამ“ ერთხელ, მეამე პერიოდში 2 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი. საბოლოოდ, „თსუ-ჰიუნდაიმ“ 81:68 იმარჯვა, რაშიც 20 ქულით სოლიდური წილი სტანოიე კნეჟევიჩმა დაიდო. 16 ქულა დენიელ უილიამსმა მოაგროვა, ხოლო ობრი მაკალპინი სამმაგ დუბლს მიუახლოვდა – 12 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი.

შემდეგი ტურის მატჩები 28 იანვარს გაიმართება.

შეგაახსენებთ, რომ 2017 წელს კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ დახმარებით თსუ საკალათბურთო გუნდს სამი ლეგიონერი შეემატა ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო ლიგიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი 1924 წლიდან არსებობს. სხვადასხვა დროს გუნდში თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ კეკელიძე, სულიკო თორთლაძე და სხვები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უნივერსიტეტის ვაჟთა საკალათბურთო გუნდი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 2014 წლამდე უწყვეტად ასპარეზობდა. თსუ საკალათბურთო გუნდი ეროვნული ჩემპიონატის სუპერლიგის ორგზის (2010 წ, 2011 წ.) მეორეადგილოსანი, ხოლო 2011 წელს ქორქია-საკანდელიძის მემორიალური თასის გამარჯვებულია. 2014 წლიდან დღემდე გუნდი ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ლიგაში ასპარეზობს და სეზონის ბოლოსთვის უმაღლეს ლიგაში გადასვლას გეგმავს. გუნდის 9 წევრი საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრებში თამაშობს.

# სტუდენტური სამეცნიერო პროექტი – „განახლებადი ენერგიის პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე“

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვახტანგ ჩქარეულმა, ცოტნე ჟღენტმა და ნინო ბიწაძემ თსუ-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების შესახებ, მონაწილეობა მიიღეს. დოქტორანტების კვლევითი პროექტი „განახლებადი ენერგიის პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე“ დაფინანსდა და მის ფარგლებში საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „მწვანე ეკონომიკა და მისი გამოწვევები განვითარებად ქვეყნებში“ ჩაგარდა.

კვლევითი პროექტით გრანადისა და ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორები დაინტერესდნენ. ღონისძიება პირდაპირი ჩართვით გახსნა გრანადის უნივერსიტეტის პროფესორმა ვალენტინ მოლინა მორენომ (პროფ. მოლინას ოქტომბრის თვეში „ერაზმუს+“ ფარგლებში უმასპინძლა მაკრო ეკონომიკის კათედრამ), რომელმაც რეკომენდაციებით მხარდაჭერა გაუწია აღნიშნულ ღონისძიებას.

საკონფერენციო ნაშრომებზე მუშაობა მიმდინარეობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრაზე. ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელი და კონფერენციის სესიის თავჯდომარე გახლდათ ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებმა. მომხსენებლებმა წარმოადგინეს სამეცნიერო ნაშრომები საქართველოში არსებული მწვანე ეკონომიკის, ცირკულარული ეკონომიკის, განახლებადი ენერგიის და ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.

ვახტანგ ჩქარეული კვლევითი პროექტის მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება.

„მე და ჩემს მეგობრებს, ცოტნეს და ნინის „გვაწუხებს“ ხოლმე სხვადასხვა იდეები, რომელთა განსახორციელებლადაც ხშირად ფინანსურ რესურსებზე ხელი არ მიგვიწვდება. როდესაც თსუ-მ გამოაცხადა კონკურსი სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების შესახებ ერთადერთი, რაზეც ვიკამათეთ იყო ის, თუ რომელი საკვლევი თემა აგვერჩია ჩვენი ვრცელი სიიდან. საბოლოოდ, ერთხმად შევჯერდით გამოგვეკვლია განახლებადი ენერგიის პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. პრინციპში, კვლევები განახლებადი ენერგიის შესაძლებლობებთან დაკავშირებით მრავალად ჰქონდა ენერგეტიკის სამინისტროს, თუმცა ისინი წმინდა ენერგეტიკული იყო და არავის ჰქონდა დღემდე გადაყვანილი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. მაგალითად, ამ რესურსების ათვისება როგორ აისახება ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსსა და მთლიანად ეკონომიკურ გარემოზე.

დღეს, მსოფლიო ეკონომიკის გაფართოებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ენერგიაზე, რაც პლანეტის შეზღუდული რესურსების ფონზე უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს განახლებად ენერგო-რესურსებს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნისათვის ყოველთვის იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად აქტუალური ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი, ამდენად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ საკითხის განხილვა პოლიტ-ეკონომიკურ ჭრილში, რაც საბოლოო ჯამში გამოგვივიდა კიდეც“, – ამბობს ვახტანგი.

სტუდენტებმა პროექტზე მუშაობა 6 თვის წინ დაიწყეს და ამ პერიოდის განმავლობაში უამრავი დარგის ექსპერტს გაესაუბრნენ.

„მოვისმინეთ როგორც მათი, ასევე გარემოსდამცველების შენიშვნები და რეკომენდაციები და საბოლოოდ, ეს ყველაფერი განვიხილეთ ეკონომიკურ ჭრილში. ჩვენი მიგნებები საგულისხმოა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ განახლებადი ენერგიის და მთლიანად „მწვანე ენერგიის“ კონცეფცია შევისწავლეთ ეკონომიკურ ჭრილში, რაც აქამდე საქართველოში არ განხორციელებულა.

რაც შეეხება კონფერენციას, აქ უკვე გვინდოდა ჩვენი კვლევის ძირითადი შედეგები წარგვედგინა სტუდენტებისათვის და ასევე მოგვესმინა მათი შეხედულებებიც. კონფერენციამ ჩვენს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რაშიც ,პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მოწვეული სტუდენტებისა და მთლიანად მაკროეკონომიკის კათედრის უდიდესი წვლილი. ჩვენთვის, ეს იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც დავაორგანიზეთ ამ დონეზე, რაც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო. ცხადია, ერთი მხრივ, გვინდოდა რომ შინაარსობრივი ნაწილი ყოფილიყო მეცნიერული დონის, და მეორე მხრივ, მოწვეულ სტუმრებს ჰქონოდათ შექმნილი საუკეთესო პირობები. ფართო გამოხმაურებიდან გამომდინარე, ვფიქრობ,მიზანს მივაღწიეთ.

ჩვენი კონფერენციის მნიშვნელობას, ყველაზე მეტად თემის სიახლე და მასში ჩართული მხარეები განსაზღვრავენ. გრანადის უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორების ჩართულობამ თსუელებთან ერთად მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა ჩვენი კონფერენცია. გარდა ამისა, გვსურს, რომ ეს კონფერენცია ტრადიციად ჩამოვაყალიბოთ და მომავალში უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდეთ.

ჩემს გუნდთან ერთად ამჟამად ვასრულებთ ჩვენი კვლევის ფარგლებში მონოგრაფიის გამოცემის საკითხს. გვსურს, რომ ჩვენი კვლევის კონკრეტული შედეგები ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მონოგრაფიაზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია და უახლოეს მომავალში გამოიცემა ინგლისურ და ქართულ ენებზე. ასევე, ვგეგმავთ მის პრეზენტაციას.

რაც შემეხება პირადად მე, ამ ეტაპზე სრულად კონცენტრირებული გახლავართ ჩემს სადისერტაციო თემაზე. პარალელურად, რამდენიმე სამეცნიერო საგრანტო პროექტს ვახორციელებ, რაც ჩემს გრაფიკზეც აისახება.

მაგალითად, მიმდინარე კვირაში მე და ცოტნე ჟღენტი მიწვეული ვართ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ლისაბონში, ასევე გაზაფხულზე მოკლევადიანი კვლევითი ვიზიტით მივემგზავრებით ტარტუსა და გრანადის უნივერსიტეტებში, საიდანაც იმედია, ახალი ძალებით, იდეებითა და შემართებით ჩამოვალთ და გავაგრძელებთ მუშაობას.

# თსუ სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ოფიციალური გახსნა

*პირველი გვერდიდან*

შენობაც უმაღლეს დონეზეა მოწყობილი, ჩვენ გვაქვს საშუალება თავისუფალ დროს ვითამაშოთ ტენსი, მოვაწყოთ ფილმის ჩვენებები, ასევე გვაქვს მოედანი და სავარჯიშო ტრენაჟორებიც.

აღსანიშნავია, რომ შენობა აღჭურვილია და აქვს ულამაზესი ეზოც. საცხოვრებელში არის საკმაოდ უსაფრთხო გარემო, სახანძრო უსაფრთხოება მაქსიმალურად არის დაცული და ასევე დაცვის თანამშრომლები მუდმივად აკონტროლებენ ტერიტორიას. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს და მუდმივად ორიენტირებულები არიან ჩვენზე“, – განაცხადა თსუ სტუდენტმა ვიქტორია ბარათაშვილმა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge